**დღის ნომერში**

თბილისის მძლეოსნური კროსის სტარტები — მე-2 გვ.

მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდი — ქვეყნის ჩემპიონი — მე-3 გვ.

სკოპლეში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ბლოკნოტიდან — მე-4 გვ.


**ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდი — სსრ კავშირის ჩემპიონი**



სურათზე: თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩი. თბილისელთა მეკარე დ. გოგია ძნელ ბურთს იღებს მეტოქეებთან ბრძოლაში.
მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 216 (4726)

1972 წ. 31 ოქტომბერი, შაბათი,

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## მოინანიეს

მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გივი კარტოზია სპორტშიცა და პირად ცხოვრებაშიც მუდამ სამაგალითო იყო. სსრ კავშირის ნაკრებში ყოფნისას იგი კოლექტივის საგანგებო ნდობით სარგებლობდა, იყო მისი კაპიტანი და ბევრი შესანიშნავი გამარჯვების სულისჩამდგმელი. გ. კარტოზიამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული სპორტის ისტორიაში. ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ცნობას, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააწესა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გამოჩენილი მოჭიდავის პრიზზე.

მაგრამ მოხდა ყოვლად გაუგებარი რამ და საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა მაშინდელი უფროსი მწვრთნელის დ. გვანცელაძის მეთაურობით ასპარეზობას ბოიკოტი გამოუცხადა. გუნდი თვითნებურად, სრულიად უმიზეზოდ არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე, რითაც კინაღამ ჩაშალა ეს საინტერესო ტურნირი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრებისა და მისი უფროსი მწვრთნელის ულირს საქციელზე. დამნაშავეები ღირსეულად დაისაჯნენ.

მას შემდეგ მთელი ათი თვე გავიდა. მოჭიდავეთა ერთმა ნაწილმა გულწრფელად მოინანია თავისი დანაშაული. ბევრმა წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და პირველი გაუბედავი ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ სპორტის გარეშე მათი ცხოვრება შეუძლებელი გამოდგა. ამიტომაც, დისკვალიფიკაციის მიუხედავად, ისინი მტკიცედ იცავდნენ სპორტულ რეჟიმს, სისტემატურად ვარჯიშობდნენ და სრულყოფდნენ ოსტატობას.

ათი თვე საკმაო ხანი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ დასჯილ სპორტსმენებს შეეგნოთ თავიანთი დანაშაულის სიმძიმე, გულწრფელად მოენანიებიათ ცოდვა და სარბიელს დაბრუნებოდნენ. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ საქმის შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც იმსჯელა მოჭიდავეთა საქციელზე და თავისი მოსაზრებები გააცნო კომიტეტის კოლეგიას. ამ უკანასკნელმა კი დაადგინა:

მოჭიდავეებს ბ. ლეკვეიშვილს, გ. ჰელიძეს, თ. მაჭავარიანს, ე. გოგლიჩიძეს, მ. ჩიბურდანიძეს, ე. ლუდუშაურს, შ. მორჩილაძეს სამუდამო დისკვალიფიკაცია ერთი წლის პირობითი დისკვალიფიკაციით შეეცვალოთ და მიეცეთ ყველა შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება. სამი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცეთ ო. ტატიშვილს, გ. გოგნაძეს, თ. სირბილაძეს, გ. გუდაძეს. ისინი მხოლოდ რესპუბლიკურ ასპარეზობებში მიიღებენ მონაწილეობას.

დანარჩენი სამი სპორტსმენის — თ. ჯაოშვილის, გ. ნოზაძისა და შ. გიგოლაშვილის, აგრეთვე, მწვრთნელ დ. გვანცელაძის მიმართ ძველი დადგენილება სამუდამო დისკვალიფიკაციის შესახებ ძალაში დარჩა.

## ახალი ამბები-72

● **მოსკოვი, 29 ოქტომბერი.** ცსკა-ს ჰოკეისტებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დღეს აქ გამართულ მეორე ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 6:4 დაამარცხეს ვაისვასერის „დინამო“ (გდრ). პირველი შეხვედრაც არმიელებმა მოიგეს — 11:1. ამრიგად, მოსკოველები ფინალში შვეციის გუნდს „ბრიუნესს“ შეხვდებიან.

● **უფა, 29 ოქტომბერი.** უკვე ტრადიციად იქცა, რომ ფიგურულ ციგურაობაში ყოველ ახალ სეზონს ოქტომბერში ხსნიან პროფკავშირთა სპორტსმენები. ამჯერად ადგილობრივი სპორტის სასახლის ყინულზე მესამე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა. სარბიელზე გამოვიდნენ სსრ კავშირის, ავსტრიის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. პროგრამის ყველა სახეობაში მასპინძლებმა იმარჯვეს. ერთეულთა სრიალში ყველას აჯობეს ა. კორნევამ და ს. ვოლკოვმა. ერთეულები ახალი წესებით ასპარეზობდნენ: ახლა „სკოლა“ სამ ფიგურამდეა შემცირებული, ხოლო სავალდებულო პროგრამის მეორე ნაწილი, ეგრეთ წოდებული მოკლე პროგრამა, შეიცავს ექვს ელემენტს წილისყრით და ორი წუთის განმავლობაში მუსიკის თანხლებით სრულდება. წყვილთა სრიალში ბადალი არ ჰყავდათ სპორტის ვეტერანებს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს, ხოლო ყინულზე სპორტულ ცეკვაში — ი. მოისეევასა და ა. მინენკოვს. საჩვენებელ გამოსვლებში მაყურებელმა იხილა ახალი სპორტული წყვილები, რომელთა მონაწილეობა წლეულს დიდ ინტერესს იწვევს. ესენი არიან ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი, ნ. ოვჩინიკოვა და ა. სურაიკინი. უფლები ალტაცებით შეხვდნენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის ს. ჩეტვერუხინის გამოსვლას.

## ზუსტი ისრები

აფხაზეთის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ პირად-გუნდურ პირველობაში სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე „განთიადის“, „კოლმეურნის“, „სპარტაკის“, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და აფხაზეთის განათლების სამინისტროს მშვილდოსანთა ნაკრები გუნდები ჩაებნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი იყვნენ „სპარტაკის“ მშვილდოსნები. II და III ადგილებზე არიან „კოლმეურნისა“ და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივები.

პირად ჩათვლაში 30 და 50 მეტრიდან სროლაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. კოსტენკო, ვაჟთა შორის — რ. ჯლამაია (ორივე — „სპარტაკი“). გამარჯვებულებმა პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულეს.

ზ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

### [illegible]

### ✦ გულრიფში

რაიონის მეხანძრეთა პირველობაში ყველას აჯობა გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა. II ადგილი ხვდა მერხეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის გუნდს, III — კოდორის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატის ნაკრებს.

შ. ჯალაღონია.

## დაუარეს და მიატოვეს

სახერეში, სტალინის ქუჩაზე, რამდენიმე წელია აიგო



### ახალი [illegible]

საცხოვრებელი ბინა, რომელსაც კარგი ეზო აქვს. კომუნალური მეურნეობის საწარმოო კომბინატის მესვეურებმა გადაწყვიტეს სწორედ ამ ეზოში კალათბურთის მოედანი მოეწყოთ და ფარებისთვის ლითონის კონსტრუქციები მოიტანეს.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ დაწყებული საქმის დამთავრებისთვის თავს ალარავინ იწუხებს. საინტერესოა, როდის აღიმართება ლითონის ეს კონსტრუქციები?

ა. ანასაშვილის ტექსტი და ფოტო.

სახერე.

## სვერდლოვსკელთა ოქროს წყვილი

როგორც ცნობილია, ამას წინათ ბაქოში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება აკრობატიკაში.

• • •

სურათზე: შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — სვერდლოვსკელები გ. ვასიანინა და ი. საველიევი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ოლიმპიადის გმირები

## „იანის შტანგა“

ესტონეთში პოპულარულია ძალოსანთა შეჯიბრება „იანის შტანგა“ — მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენ იან ტალტსის პრიზზე. მიუნხენში მექსიკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა თანამემამულეთა იმედები გაამართლა და ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ოლიმპიადამდე, მაისის თვეში, ტალტსმა ევროპის პირველობაში (კონსტანცა) მძიმე წონაში ოთხივე ოქროს მედალი დაისაკუთრა — ცალკეულ მოძრაობებში და სამჭიდში გამარჯვებისთვის, ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და... უკმაყოფილო დარჩა: ძალიან უნდოდა ჯამში 600 კილოგრამი დაეგროვებინა.

ი. ტალტსი გლეხის ოჯახში გაიზარდა და ბავშვობიდან შეეჩვია შრომას. მერე, როცა სპორტმა გაიტაცა, საწვრთნელ მეცადინეობებზე მისი შრომისმოყვარეობა ყველას აოცებდა. ყველამ როდი იცის, რომ ტალტსი დიდხანს მარტოკა, უმწვრთნელოდ ვარჯიშობდა. იგი „საკუთარი გეგმის მიხედვით“ გახდა ჯერ ესტონეთის, შემდეგ კი სსრ კავშირის ჩემპიონი. მან მოიგო ევროპის პირველობაც, მსოფლიოს პირველობაც, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში კი ვერცხლის მედალი მიიღო.

ბოლო მსოფლიო რეკორდი სამჭიდში — 587,5 კგ — ტალტსმა დაამყარა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ ტალინში ჩატარდა. მაშინ ტალტსს სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს მოსკოველმა ი. კოზინმა და ლენინგრადელმა ჰ. პერვუშინმა. გამარჯვებისთვის მსოფლიო რეკორდი იყო საჭირო. ტალტსმა რეკორდი დაამყარა.

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენის მიზანი იყო არა რეკორდები, არამედ გამარჯვება. ტალტსმა თავის უამრავ ჯილდოს კიდევ ერთი ძვირფასი მედალი — ოლიმპიური ჩემპიონის მედალი დაუმატა.

• • •



სურათზე: ი. ტალტსი (ცენტრში) კიდევ ერთხელ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მარცხნივ — ი. კოზინი; მარჯვნივ — ჰ. პერვუშინი.

ჰ. კუზნეცოვის ფოტო (საკდესი).

# ვის ატყუებენ?!



თბილისის კომკავშირისა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტებმა შაბათ-კვირას სტალინის სახელობის მარჯვენა სანაპიროზე, ჩელიუსკინელთა ხიდის მიდამოებში, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური კროსი გამართეს. შეჯიბრების მიზანი და ამოცანა სწორედ მისასალმებელი იყო: ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის მასობრივად ჩაბმა, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, საუკეთესო კოლექტივების, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინება. ყოველივე ეს ერთ საერთო საქმეს — დედაქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ზრუნვას ემსახურება.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტების, ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივების, საგზაო ზედამხედველობის დივიზიონის თანამშრომლების აქტიური დახმარებით თავი არ დაზოგეს, რათა ეს მასობრივი ღონისძიება მწყობრად, სანიმუშოდ ჩატარებულიყო.

სტარტი და ფინიში მართლაც სანიმუშოდ მოეწყო. საგზაო ზედამხედველობის დივიზიონის (მეთაური ჯ. სსირტლაძე) მუშაკები, განსაკუთრებით კი ა. ტატიშვილი და შ. ლაფარიშვილი, ზრუნავდნენ სტარტსა და ფინიშს შორის კავშირის დამყარებისთვის, ტრასაზე წესრიგისთვის. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები თვალყურს ადევნებდნენ, რომ იოლი გამარჯვების მოყვარულთაგან გარბენში არავინ შეპარულიყო.

15 ათასამდე მონაწილეში, რომლებიც საშუალო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოდაწესებულებების, არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლები იყვნენ, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ თაღლითებიც (სხვა რა ვუწოდოთ?), რომლებმაც თავიანთი ბარათები „მეგობრებს" გადასცეს ფინიშზე მისატანად, თვითონ კი შეჯიბრებას შორიდან უყურებდნენ, ან ბრძოლაში ჩაბმას შუა დისტანციიდან ცდილობდნენ.

იოლი გამარჯვების მოყვარულნი აღმოჩნდნენ ფიზკულტურის კოლექტივების პასუხისმგებელი მუშაკებიც, რომლებიც მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს მიმართავდნენ. II („სპორტული ცვლა"), III („ძალა და ვაჟკაცობა") და IV („ფიზიკური სრულყოფა") საფეხურების ნორმატივებს 14-28 წლის ახალგაზრდები აბარებდნენ, გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა კი ჯერ 500 მეტრზე, შემდეგ კი 1000-მეტრზე რბენაში 12 წლის ბიჭების ხარჯზე სცადა ფონს გასვლა. ეს მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. გაგოშიძე) შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ქარხანა „მიკროძრავის" ერთმა წევრმა (გვარის დადგენა ვერ მოვახერხეთ) 1000 მეტრზე რბენის ფინიშთან ყუთში ერთბაშად რვა კაცის ბარათები ჩაუშვა. მსაჯებმა შეამჩნიეს, გამთიშველებისა და ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების თითო მძლეოსანმა 4-4 ბარათი რომ მოარბენინა. ამავე დისტანციაზე მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის ერთ-ერთმა მოსწავლემ ყუთში 5 ბარათი ერთად ჩაყარა. უფრო შორს წავიდა სინთეტური და პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკის წარმომადგენელი, რომელსაც ფინიშზე ერთბაშად 12 თანაგუნდელის ბარათი დაუჭირეს.

ამ მხრივ საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურელებიც სცოდავდნენ. საერთო ძალით ზოგიერთი თაღლითის ვინაობის დადგენა მაინც მოხერხდა: სტომატოლოგიური ტექნიკუმის მოსწავლემ ო. ჭელიძემ თანაგუნდელებს რ. სულაქველიძესა და დ. ქოსაშვილს დათვური სამსახური გაუწია, როცა მათი ბარათების ფინიშამდე მიტანა იკისრა და ამით შესაძლოა ერთადერთი საშუალება წაართვა 1000 მეტრზე ძალის გამოცდისა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ს. ცეცხლაძემ ასეთივე სამსახური გაუწია თ. ირუსიძეს, 51-ე პროფტექსასწავლებლის გუნდის წევრმა ტ. ჭანკოტაძემ კი ე. ფრანგიშვილს.

საქართველოს მელიორაციისა და წყლის მეურნეობის სამინისტროს წყლის მეურნეობის მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. გურამიშვილმა სულ სხვა ხერხი იხმარა — გარბენს შუა დისტანციაზე შეუერთდა. რა თქმა უნდა, შედეგი კარგი აჩვენა, მაგრამ კონტროლიორებს მისი „მოხერხება" არ გამოპარვიათ.

ყველას მაინც 146-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. მიქაძემ „აჯობა". იგი გარბენს იქვე, ფინიშთან დაელოდა და, როცა სპორტსმენთა დიდი ჯგუფი მიიჭრა, ყუთში თავისი სკოლის მოსწავლეების სახელზე შევსებული ბარათების საკმაოდ დიდი შეკვრის ჩაგდებას შეეცადა.

ერთი სიტყვით, ამ კარგ ღონისძიებას ბევრმა ფაქტმა მიაყენა ჩრდილი. ზემოხსენებული კოლექტივების ხელმძღვანელებს მეტი ზრუნვა რომ გამოეჩინათ, სპორტსმენებისთვის ღონისძიების არსი სათანადოდ განემარტათ, მსგავსი რამ არ მოხდებოდა. არადა, ამით თავიანთ კოლექტივებსაც ავნეს — თაღლითობის ყოველი ფაქტისთვის საჯარიმო ქულები ირიცხებოდა.

პოლიტექნიკური ტექნიკუმის, თეატრალური ინსტიტუტის, სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის, არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენლები საასპარეზოდ ორგანიზებულად მოვიდნენ და პირველობისთვისაც წესიერად იბრძოდნენ.

ხარვეზების მიუხედავად, კროსი ორგანიზებულად ჩატარდა. ათასობით გოგონამ და ქალიშვილმა, ბიჭმა და ჭაბუკმა, ქალმა და ვაჟმა ჩააბარა მშდ კომპლექსის შესაბამისი საფეხურების ნორმატივები, საუკეთესოებმა კი კომკავშირისა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტების სპეციალური საჩუქრებიც დაიმსახურეს.

თითქმის ყველა გარბენი საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მაყურებლის ყურადღება ყველაზე მეტად არმიელმა სპორტსმენებმა მიიპყრეს. არმიელთა სპორტკლუბის წევრები სპორტულ ტანსაცმელში დარბოდნენ, სხვებს ყოველდღიური სამხედრო ფორმა ეცვათ. მათმა ლიდერებმა ზოგიერთ სპორტსმენსაც აჯობეს. მაგალითად, მ. ტოლსტოიმ 1000 მ 2 წუთსა და 52,2 წამში გაირბინა და ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

გთავაზობთ პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს. ქვემოთ დასახელებულმა სპორტსმენებმა ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს, მაგრამ ამ წარმატებას მხოლოდ პრიზიორები როდი აღწევდნენ: ყოველ გარბენში 10-15 მძლეოსანმა მაინც მოიპოვა „ოქროს" შედეგები, გაცილებით მეტმა კი ვერცხლის სამკერდე ნიშნის შესაბამის დროში დაამთავრა რბენა.

მართალია, ბევრს ხელი მოეცარა, მაგრამ შეჯიბრება მაინც სასარგებლო იყო.

**ო. გელაშვილი.**

• • •

### ტექნიკური შედეგები

**14-15 წლის გოგონები. რბენა. 800 მ.** ს. ბელიკოვა (109-ე სკოლა) — 47,6, მ. გოროვეცი (52-ე სკოლა) — 47,8, ი. ამოსოვა (116-ე სკოლა) — 48,4. **ბიჭები. 500 მ.** ა. რახმანოვი (72-ე სკოლა) — 1.10,6, შ. აიდოევი (149-ე სკოლა) — 1.11,6, გ. რაზმაძე (132-ე სკოლა) — 1.12,6.

**16-18 წლის ქალიშვილები. 500 მ.** ტ. ოსიპოვა (რკინიგზის ტექნიკუმი) — 1.23,0, ლ. პერევოზნიკოვა (109-ე სკოლა) — 1.24,7, ნ. მესხი (ქაღალდის ფაბრიკა) — 1.30,2. **ჭაბუკები. 1000 მ.** ვ. დეგტიარიოვი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 2.31,4, გ. პირაევი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 2.32,0, ჯ. ვეკუა (უნივერსიტეტი) — 2.35,6.

**19-28 წლის ქალები. 500 მ.** მ. არჩვაძე — 1.33,7, ც. პატიეშვილი (ორივე — ფარმაცევტული სასწავლებელი) — 1.39,7, ი. ევრანოვა (თეატრალური ინსტიტუტი) — 1.40,0. **ვაჟები. 1000 მ.** ნ. იანშინი (არმიის სპორტკლუბი) — 2.33,2, გ. ჩოჩიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 2.34,2, ვ. ნესტერენკო (არმიის სპორტკლუბი) — 2.35,0.

• • •





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: 500 მეტრზე რბენის მომენტი; 1000 მეტრზე მორბენალი ვაჟები ასპარეზობის დროს.**

**მ. ზარგარიანის ფოტოები.**

# დღის წესრიგშია მშდ

გაიმართა კომკავშირის თეთრი წყაროს რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ერთი საკითხი: „რაიონის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის დანერგვაში".

მოხსენებით გამოვიდა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე თ. ხუციშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ჯანიაშვილმა, თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. შამანიდიმ, მანგლისის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ლ. ბერიძემ, რაიონული საავადმყოფოს ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. მარკინამ და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ ორგანიზაციებში ნორმატივებს წარმატებით აბარებენ. მოწინავენი არიან რაიონული საავადმყოფოს, მანგლისის საბჭოთა მეურნეობის, თეთრი წყაროს რუსული და ქართული საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატის, მანგლისის ქართული და რუსული საშუალო სკოლების კოლექტივები. ჩამორჩებიან ბორბალოს, ასურეთის, დაგიეთის, წინწყაროს კოლმეურნეობები.

პლენუმმა მიიღო დადგენილება.

**თ. ხუციშვილი,**

**თეთრი წყაროს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

# გამარჯვება ერევანში

ოქტომბრის დამდეგს ერევანში გაიმართა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეგობრული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ახალგაზრდა მოჭადრაკეთა გუნდების შეჯიბრება.

გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდნენ. I ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა — 25,5 ქულა 40-დან. II ადგილზე გავიდნენ სომხეთის (24), III — აზერბაიჯანის (10,5) წარმომადგენლები.

ჩვენს გუნდში თამაშობდნენ: ჭაბუკები — ოსტატობის კანდიდატები გ. მაჭარაშვილი, ვ. პეტუხოვი, გ. ზაიჩიკი; პირველთანრიგოსნები ე. აფრიდონიძე, ზ. თანდაშვილი, ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. ბურჭულაძე; გოგონები — ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი; პირველთანრიგოსნები მ. ჩიბურდანიძე, მ. ხანთაძე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მოჭადრაკეებმა ექვს დაფაზე I ადგილები დაიკავეს, ხოლო გოგონებმა 12-დან 10 ქულა მოაგროვეს.

**ზ. მამავარიანი,**

**გუნდის უფროსი მწვრთნელი.**

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

# ოგლად ჩანდა ორი იალქანი

ფოთის სანაოსნო რეიდზე გაიმართა საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება აფროსნობაში. ტურნირში ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით სომხეთისა და აზერბაიჯანის კოლექტივებიც უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ, ვინაიდან ისინი არ ჩამოვიდნენ, შეჯიბრება არ შედგა.

გუნდების სიმრავლით ვერც სპარტაკიადა დაიქადნის: სარბიელზე მხოლოდ „განთიადისა" და „ვოდნიკის" კოლექტივები გამოვიდნენ. თანაც, „ვოდნიკმა" სრული გუნდი ვერ წარმოადგინა, რის გამოც „ურჩხულისა" და „ვარსკვლავური" კლასების ნავებით ტურნირი არ გამართულა.

კოლხეთის სანაპირო ქარები და ოქტომბრის სანაოსნო პირობები ბალტიისპირეთისას ჰგავს. ეს მწვრთნელებს ახალგაზრდა აფროსნების მომზადებისთვის კარგ შესაძლებლობას უქმნის, მით უმეტეს, გაისად ტალინში ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი გაიმართება და ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად უკვე ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო.

ჩემპიონატამდე ცხრა თვეა, მაგრამ რესპუბლიკაში ჭაბუკთა ძლიერი გუნდის შესაქმნელად იმდენი მუშაობაა საჭირო, რომ, თუ აქედანვე არ ვიზრუნეთ, საეჭვოა სტარტისთვის ყველაფერი მზად გვქონდეს. ჩვენში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საიალქნო კლუბების მომზადება და მათი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, სპორტულ ბაზებზე ამწეების დაყენება, ურომლისოდაც ნავები მწყობრიდან ნაადრევად გამოდის. ამით ფერხდება წვრთნა, ქვეითდება ნავების სარბოლო დონე, იკლებს სიჩქარე და, ცხადია, სპორტული შედეგებიც.

ბაზების მდგომარეობა პირველ ყოვლისა თბილისში, სოხუმსა და ფოთში უნდა გამოსწორდეს, იქ, სადაც ნაკრების წევრები იზრდებიან და იწვრთნებიან. სხვა შემთხვევაში ნაკრებ გუნდს კვლავაც სხვა რესპუბლიკების ბაზებზე მოუხდება ვარჯიში, ეს კი ზედმეტ ხარჯს მოითხოვს.

ტურნირმა შეარჩია საქართველოს ნაკრების სავარაუდო ბირთვი — მესაჭეები და მებაგირეები, რომელთა შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ: „ფინის" კლასში — გამარჯვებული „განთიადის" (თბილისი) ეკიპაჟი (მესაჭე გ. ლაზაშვილი) და „ვოდნიკის" (ბათუმი) კოლექტივი (თ. მერკვილაძე), „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში — თბილისელი ვ. ქიტიაშვილი, რომელიც პირად ტურნირში მონაწილეობდა, სოხუმელი ვ. გურიანოვი („განთიადი"), თბილისელები გ. ბიგანიშვილი და მ. ტატიშვილი (ორივე — „განთიადი").

გუნდური ტურნირი „განთიადმა" მოიგო.

**გ. შაქიაშვილი,**

**საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გადარჩენილი ქულა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 29 ოქტომბერი.
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 1:1 (0:1).
თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ებრალიძე (გოგიჯანაშვილი, რეხვიაშვილი), ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.
კიევი: რუდაკოვი, დამინი (კონდრატოვი), სოსნიხინი, მატვიენკო, ფომენკო, ტროშკინი, მუნტიანი, პუზაჩი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი (რეშკო).
მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).



საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების ამ მეტად რთულ, ძნელ მატჩში, სადაც ფიქრიც ზედმეტი იყო რაიმე შეღავათზე, ორივე მხარეს აკლდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. მაგრამ ამ დანაკლისის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად განსხვავებულია. კიეველებს ეგრეთ წოდებული „გრძელი სკამი" აქვთ და, როცა საქმე სათადარიგო მოთამაშეებზე მიდგება, არჩევანი არ უჭირთ: ტოლფასოვანი შემცვლელები მათ საკმაოდ ჰყავთ ყველა რგოლში. თბილისელები ამ მხრივ გაცილებით ძნელ მდგომარეობაში არიან და უფრო მეტადაც უჭირთ.

მაგრამ მატჩის მსვლელობაში მომხდარმა ცვლილებებმა (გუნდებმა შეცვლისთვის თითქმის სრული ლიმიტი გამოიყენეს) მასპინძლებს მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე სტუმრებს. კერძოდ, რეხვიაშვილი მინდორზე გამოვიდა, როცა მატჩის დამთავრებას სულ ათიოდე წუთი აკლდა, მისმა გადამწყვეტმა დარტყმამ კი თბილისელთათვის ესოდენ საჭირო ქულა იხსნა.

მასპინძლებმა სწრაფი, თამამი იერიშებით დაიწყეს მატჩი. ცენტრიდან გათამაშებული ბურთი კარს ოდნავ გადააცილა ასათიანმა, მყისვე ლ. ნოდიას ძალიან სახიფათო გარღვევის შემდეგ რუდაკოვი სასწაულით გადაურჩა გოლს: იგი მიწაზე იწვა, ბურთმა კი სულ რამდენიმე სანტიმეტრით გაუარა გვერდით ძელს (იხ. სურათი). გავიდა ცოტა ხანი და ლ. ნოდიამ ახლოდან თავით კვლავ ააცდინა მიზანს.

ასეთ ენერგიულ, საიმედო დასაწყისს ასეთივე გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კიეველები ოდნავაც არ დაბნეულან. მათ მაშინვე გაითამაშეს რამდენიმე სწრაფი შემტევი კომბინაცია, რომელთა შედეგადაც კარის წინ ძალიან სახიფათოდ გაიყვანეს ჯერ ბლოხინი, ხოლო შემდეგ პუზაჩი და კოლოტოვი. ამ კონტრშეტევების შემდეგ თბილისელები იძულებული იყვნენ უკან დაეწიათ შეტევაზე მყოფი ნახევარმცველები და ბრძოლამ თანდათან მიიღო პოზიციური, კომბინაციური ხასიათი, სადაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთქვა ორივე გუნდის ნახევარდაცვას. კიეველთა გუნდში, როგორც ცნობილია, ეს რგოლი ყველაზე ძლიერია. ჯერ ერთი, მათ შუა მინდორში ოთხი მოთამაშე ჰყავთ, რაც გარკვეულ რიცხობრივ უპირატესობას ქმნის. ამას გარდა, ეს ოთხი ჭაბუკი თავისი საქმის დიდი სპეციალისტია. ისინი საუკეთესოდ არიან შეთამაშებული, ზედმიწევნით ესმით ერთმანეთისა, მუდამ თავის ადგილზე არიან შეტევაშიც და დაცვაშიც და იშვიათად კარგავენ ბურთს. გადაცემის სიზუსტე, თავისუფალი, ეგრეთ წოდებული გამთამაშებელი ფეხბურთელის მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენება, ბურთის გრძელი გადაყვანა ფლანგიდან ფლანგზე კიეველებს საშუალებას აძლევს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდეთ შუა მინდორში, ხოლო შეტევა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე სწრაფი, მოულოდნელი გასვლით მთავრდება.

ასეთ ბრძოლაში მასპინძლები აშკარად ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. ჩვენი ნახევარმცველები რიცხობრივადაც ნაკლები იყვნენ, გადაცემათა სიზუსტეც გაცილებით დაბალი ჰქონდათ და, საერთოდ, ბურთის ზედმეტი, უსარგებლო ტარებისას უქმად ტოვებდნენ თავიანთ თავდამსხმელებს, ამუხრუჭებდნენ ტემპს, რაც, პირველ ყოვლისა, მეტოქისთვის იყო სასარგებლო. ერთი სიტყვით, კიეველები მოქმედებდნენ კომბინაციურად, ზუსტი გეგმით, თბილისელები კი ინდივიდუალურ ბრძოლას ამჯობინებდნენ. ამის შედეგად სტუმრებმა პირველ ტაიმში სერიოზულ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს.

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა. მუნტიანმა, რომელიც შესვენებამდე სრული თავისუფლებით სარგებლობდა და ამიტომ დისპეტჩერის მოვალეობებსაც იოლად ასრულებდა, საკმაოდ შორიდან დაარტყა კარში. გოგია მზად არ აღმოჩნდა ამ მომენტში, დააგვიანა და ძელიდან უკუგდებული ბურთი მისგან რიკოშეტით ბადეში აღმოჩნდა.

კიეველთა პოზიციური უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში ტაიმის დასასრულამდე და შესვენების შემდეგაც, დაახლოებით 15-20 წუთს. ამ პერიოდში ჩვენს კართან რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შეიქმნა. გოგიას, მაგალითად, თითქმის უიმედო ვითარებაში ზედიზედ ორჯერ მოუხდა პირისპირ დარჩენილი კიეველი თავდამსხმელებისგან ბურთის მოგერიება.

წაგების საშიშროებამ თბილისელები აიძულა მთელი ძალებით გადასულიყვნენ შეტევაში, — პირველ იერიშს მოჰყვა მეორე, მესამე და ექსჩემპიონი საბოლოოდ თავის კართან მიჯაჭვული აღმოჩნდა. თბილისელებმა, როგორც იქნა, „მოძებნეს თამაში", ხანგრძლივი, მძლავრი შეტევის უშუალო მონაწილე გახდნენ ნახევარმცველებიც, მცველებიც და ძალთა შეფარდება მინდორზე მთლიანად შეიცვალა. კიეველები რამდენიმეჯერ იღბლად გადაურჩნენ აშკარა გოლს, ნერვულად, შეცდომებით თამაშობდა მეკარე რუდაკოვი, იყო მომენტი, როცა გ. ნოდიას მიერ სულ რამდენიმე მეტრიდან დარტყმული ბურთი ძელმა უკუაგდო. ასეთი შტურმისას კიეველთა გადარჩენა მხოლოდ დროს შეეძლო. საათის ისარი თანდათან უახლოვდებოდა ფინიშს, მატჩის დასასრულამდე რჩებოდა 20 წუთი, 15, 10, 5...

მდგომარეობა იხსნა რეხვიაშვილმა. 85-ე წუთზე მან დრო იხელთა, აღარ შეუდგა ბურთის გათამაშებას და მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში. რუდაკოვმა ველარაფერი შეძლო — 1:1.

რ. ძორიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

• • •

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 27 | 15 | 8 | 4 | 48—25 | 38 |
| ცსკა | 29 | 15 | 3 | 11 | 37—33 | 33 |
| „დნეპრი" | 28 | 11 | 10 | 7 | 36—35 | 32 |
| „ზენიტი" | 29 | 10 | 11 | 8 | 38—29 | 31 |
| „არარატი" | 28 | 11 | 9 | 8 | 36—28 | 31 |
| „დინ." (თბ.) | 28 | 10 | 11 | 7 | 37—34 | 31 |
| „ტორპ." | 29 | 11 | 9 | 9 | 31—32 | 31 |
| „დინ." (კ.) | 26 | 10 | 9 | 7 | 42—30 | 29 |
| „დინ." (მ.) | 28 | 12 | 5 | 11 | 39—34 | 29 |
| „დინ." (მნ.) | 28 | 9 | 11 | 8 | 26—26 | 29 |
| „სპარტ." | 26 | 8 | 8 | 10 | 27—25 | 24 |
| ასკ | 28 | 7 | 10 | 11 | 28—32 | 24 |
| „ყაირ." | 29 | 5 | 14 | 10 | 21—27 | 24 |
| „კარპ." | 28 | 8 | 8 | 12 | 24—38 | 24 |
| „ლოკომოტ." | 29 | 6 | 9 | 14 | 28—42 | 21 |
| „ნეფთჩი" | 28 | 5 | 7 | 16 | 25—53 | 17 |

## ქულები, გოლები

29 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის მატჩები.

„ზარია"—„ტორპედო" 1:1.

ვოროშილოვგრადელ ფეხბურთელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაიოლდა მას შემდეგ, როცა კიევის „დინამომ" თბილისში ქულა დაკარგა: მოსკოვის ავტოქარხნელებთან მატჩში „ზარიას" უკვე ქულაც ჰყოფნიდა და ჩემპიონის წოდებას ველარავინ შეეცილებოდა.

მასპინძლები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ ვ. კუზნეცოვის ზუსტი დარტყმის შემდეგ. მართალია, ეს გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა სმირნოვმა, მაგრამ „ზარიასთვის" ეს საშიში აღარ იყო. მან ქულა აიღო და დამსახურებულად მოიპოვა სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონის წოდება. ვოროშილოვგრადის „ზარია" საბჭოთა ქვეყნის მეშვიდე ჩემპიონია (უწინ ამ წოდებას ფლობდნენ მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", ცსკა, „ტორპედო", კიევის „დინამო" და თბილისის „დინამო").

„ლოკომოტივი"—ცსკა 2:1.

ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ფაქტიურად მხოლოდ არმიელთათვის ჰქონდა, რომლებსაც ახლა ქულები ჰაერივით სჭირდებათ საპრიზო ადგილის დასაკავებლად. მაგრამ რკინიგზელებმა არა მარტო მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთ ძლიერ მეტოქეს, არამედ დაამარცხეს კიდეც. „ლოკომოტივის" მხრივ ბურთები გაიტანეს პისკუნოვმა (41-ე წუთზე) და ჩესნოკოვმა (54), ხოლო არმიელთაგან—კოპეიკინმა (74).

„ყაირათი" — „კარპატი" 1:1.

ფრე ორივე მხარეს ხელს აძლევდა, ვინაიდან თითო ქულით მათ საბოლოოდ უზრუნველყოფილი ექნებოდათ ადგილები უმაღლეს ლიგაში. ასეც მოხდა. მე-16 წუთზე ალმაათელი პიუნოვსკის მიერ გატანილი გოლი 10 წუთის შემდეგ გაქვითა კოზინკევიჩმა.

„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" 1:4.

ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს მატჩი და ძლიერი მეტოქე მისსავე მინდორზე დაამარცხეს. სადირინის (მე-8 წუთზე), ნიკოლაევის (28), ხრომჩენკოვისა (38) და კოხის (82) ოთხ გოლს დინამოელებმა 82-ე წუთზე მხოლოდ ერთით უპასუხეს (იაკუბიკი).

ასკ — „დინამო" (მინსკი) 0:0.

„ნეფთჩი" — „დნეპრი" 1:2.

ბაქოელები ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში იყვნენ, ამ წაგების შემდეგ კი უმაღლეს ლიგა დატოვეს. მართალია, ანგარიში მათ გახსნეს (26-ე წუთზე ბანიშევსკიმ პენალტი გაიტანა), მაგრამ 48-ე წუთზე ხრისტიანმა გოლი გაქვითა, ხოლო 70-ე წუთზე ევსეენკომ დააწინაურა „დნეპრი".

## ბოლოს...

ერევანში ადგილობრივმა „არარატმა" ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა „სპარტაკთან". შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა პისკარიოვმა, საპასუხო გოლი კი ანდრიასიანმა გაიტანა.

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# ძნელი ამოცანა

ტაშკენტი, 29 ოქტომბერი (ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა გუნდების აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის გუშინ გამართულ მორიგ ტურში თბილისის „ბურევესტნიკი" ცსკა-ს შეხვდა. თბილისელები ამჯერადაც დამარცხდნენ: არმიელებმა მათს კარში 22 გოლი გაიტანეს, საკუთარში კი 15 მიიღეს.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ალუმინსტროი" — „კუნცევო" (მოსკოვი) 12:16, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ტაშკენტი) — უნივერსიტეტი (კრასნოდარი) 22:20.

ფრედ (16:16) დასრულდა ზაპოროჟიეს მეტალურგიული და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტების გუნდების შეხვედრა. მაგრამ, როგორც გამოირკვა, მეტოქეებს წინასწარ მოულაპარაკნიათ შეხვედრის ფრედ დამთავრების თაობაზე. ამიტომ დღეს მსაჯთა კოლეგიამ ეს შედეგი გააუქმა და ორივე გუნდს წაგება ჩაუთვალა (გათამაშების ცხრილში ბურთების ბალანსი არ შედის).

ასევე დრამატულად დამთავრდა თბილისის „ბურევესტნიკის" დღევანდელი მატჩი „კუნცევოსთან" (14:15). შეხვედრის მიწურულს თბილისელებმა ანგარიში გაქვითეს, მაგრამ მსაჯმა აშკარა გოლი არ ჩათვალა. გუნდის მწვრთნელის ჯ. ბაგრატიონის თქმით, ჩვენებმა ტაშკენტში მხოლოდ ეს მატჩი ჩაატარეს კარგად.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: ცსკა — მეტალურგიული ინსტიტუტი 12:13, უნივერსიტეტი — „ალუმინსტროი" 13:12, მსი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 23:20.

30 ოქტომბერს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ.

31 ოქტომბერს თბილისის „ბურევესტნიკი" კრასნოდარელებს ეთამაშება, 1 ნოემბერს კი „ალუმინსტროის".

უმაღლეს ლიგას ბოლო ადგილზე გასული ერთი გუნდი დატოვებს. თბილისელებს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი აქვთ, მაგრამ პრაქტიკულად როგორ განახორციელებენ ამას, ძნელი სათქმელია.

ჯ. ენუქიძე.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 12 | 9 | 1 | 2 | 210—168 | 19 |
| მეტალურგ. ინსტ. (ზაპ.) | 12 | 9 | 0 | 3 | 155—119 | 18 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 12 | 6 | 4 | 2 | 175—165 | 16 |
| უნივერსიტეტი (კრასნოდ.) | 12 | 4 | 4 | 4 | 173—173 | 12 |
| ცსკა | 12 | 4 | 3 | 5 | 185—189 | 11 |
| „ალუმინსტროი" (ზაპ.) | 12 | 3 | 1 | 8 | 156—190 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. (ტაშკენტი) | 12 | 2 | 2 | 8 | 189—212 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბ.) | 12 | 2 | 1 | 9 | 154—181 | 5 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# პრიზიორები — ვადამდე

მოსკოვში წყალბურთელთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენებმა. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მესამე დღეს მათ დიდი ანგარიშით (6:1) სძლიეს კიევის დინამოელებს, ხოლო მეოთხე დღეს დაძაბული ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს თბილისის დინამოელები — 5:4. როგორც აღვნიშნეთ, ბოლო დღის შედეგების მიუხედავად, უნივერსიტეტელთა გუნდმა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება დაისაკუთრა.

მესამე და მეოთხე დღეების დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 3:3, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (ალმა-ათა) 2:2, „დინამო" (მოსკოვი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 5:5, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) 4:2, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი — „დინამო" (მოსკოვი) 3:4, „სპარტაკი" — „ბალტიკა" 6:4, „დინამო" (ალმა-ათა) — „ტორპედო" 3:1, „დინამო" (კიევი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი 3:4.

ამრიგად, ვადამდე გამოვლინდნენ ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებიც: სამხედრო მეზღვაურთა გუნდი და მოსკოვის „დინამო".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 17 | 15 | 2 | 0 | 94—59 | 32 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი | 17 | 12 | 2 | 3 | 82—64 | 26 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 8 | 5 | 4 | 73—66 | 21 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 5 | 5 | 7 | 78—80 | 15 |
| „დინამო" (კიევი) | 17 | 6 | 3 | 8 | 69—75 | 15 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) | 17 | 4 | 6 | 7 | 64—69 | 14 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 17 | 3 | 7 | 7 | 65—77 | 13 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 3 | 6 | 8 | 56—70 | 12 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 17 | 4 | 3 | 10 | 66—78 | 11 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 17 | 4 | 3 | 10 | 59—70 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მკითხველთა და კორესპონდენტთა საყურადღებოდ!

„ლელოს" რედაქცია აცნობებს გაზეთის მკითხველებსა და კორესპონდენტებს, რომ ამიერიდან რედაქციაში მასალები გამოგზავნონ სახელის, მამის სახელისა და გვარის სრული აღნიშვნით, აგრეთვე, ზუსტი მისამართის მითითებით.

◆ დუშანბე, 30 ოქტომბერი. გაიმართა ველოსპორტში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების პირველი სტარტები — ტაჯიკეთის დედაქალაქმა სტუმართმოყვრულად მიიღო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 200-მდე სპორტსმენი. რიგ-რიგი სტარტით ინდივიდუალურ რბოლებში ქალებიცა და ვაჟებიც თავდაპირველად ქალაქგარე ვარზობის გზატკეცილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 25-კილომეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა კრასნოდარელმა ნ. იუქაკოვამ — 39.47,8. ვაჟები 50-კილომეტრიანი დისტანციის სტარტზე გამოვიდნენ. გაიმარჯვა ვ. გრაქლანკინმა (უზბეკეთი) — 1:07.53,5.

*საბჭოთა კავშირის*

*თასი*

*ველოსპორტში*

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

ეროვნული ჩემპიონატის XIV ტურში გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა" ანგარიშით 2:1 დაამარცხა „სტოკ-სიტი".

„არსენალმა" სტუმრად ითამაშა ბოლო ადგილზე მყოფ „კრისტალ პალასთან". ლონდონელებმა ძნელი გამარჯვება იზეიმეს: „არსენალმა" „კრისტალ პალასის" კარში 3 ბურთი გაიტანა, თვითონ კი 2 გოლი მიიღო.

III ადგილზე მყოფი „ლიდს იუნაიტედი" შინ „კოვენტრი სიტის" შეხვდა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. „ლიდსი" წაგებისგან იხსნა ვუნდის ვეტერანმა ჯ. ჩარლტონმა, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა.

„ტოტენჰემ ჰოტსპური" „ჩელსის" მასპინძლობდა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

ძალიან საინტერესოდ წარიმართა გათამაშების აუტსაიდერის „მანჩესტერ-სიტისა" და „ვესტ ჰემ იუნაიტედის" შეხვედრა. გაიმარჯვეს მანჩესტერელებმა — 4:3.

პირველი ოთხეული ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 14 | 9 | 3 | 2 | 28—14 | 21 |
| „არსენალი" | 15 | 8 | 4 | 3 | 21—12 | 20 |
| „ლიდს იუნ." | 14 | 7 | 4 | 3 | 26—17 | 18 |
| „ჩელსი" | 14 | 7 | 4 | 3 | 24—15 | 18 |

### არგენტინა

ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „სან-ლორენცომ" 48 ქულა მოაგროვა და უკვე უზრუნველყოფილი აქვს ჩემპიონობა.

გათამაშება ძალზე მარცხიანად ჩაატარა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა, საკონტინენტთაშორისო თასის ფინალის მონაწილემ — ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტემ": იგი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### დანია

გათამაშების დასასრულამდე ორი ტურით ადრე დანიის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბკ ვეილემ", რაც ცნობილი გახდა „ნუკობინგთან" მისი გამარჯვების (2:1) შემდეგ. „ვეილემ" 20 თამაშიდან 31 ქულა მოაგროვა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.



ინგლისში ახლა ბევრი ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელია. მათ შორის გამოირჩევა 21 წლის კევინ კიგანი („ლივერპული"), რომელზეც სპეციალისტები დიდ იმედს ამყარებენ. მართალია, დღესდღეობით კიგანი ინგლისის ნაკრებში არ არის, მაგრამ ამ გუნდში მოხვედრის ერთ-ერთი ყველაზე უდავო კანდიდატია.

სურათზე: კ. კიგანი თამაშის დროს.

„მორნინგ სტარის" (ლონდონი) ფოტო.

**როცა გაზეთი ხელმოწერილი იყო... 19.45**

# 12 ტურის შემდეგ

თბილისის ოფიცერთა სახლის დარბაზში სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრებში ბრძოლა განსაკუთრებით დაძაბულია.

ოდესელმა ოსტატმა მ. პოდგაეცმა ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა: სულ მალე დათმო ადგილი სატურნირო ცხრილის სათავეში. XI ტურში იგი პირდაპირ გაანადგურა ა. ოჟვატმა (უნგრეთი), რომელმაც ხარისხი შესწირა და მეტოქის მეფეს დიდი მუქარა შეუქმნა. როცა თეთრების პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია, პოდგაეცმა საათი გააჩერა.

თბილისელი ე. უბილავა შესანიშნავად თამაშობდა შუა ტურნირში, მაგრამ ფინიშზე კვლავ ხელი მოეცარა. მოსკოველ დიდოსტატ ვ. ლიბერზონთან მან ორი შეწირული პაიკი მიიღო, მაგრამ მოსკოველის იერიში ვერ მოიგერია და ლაზიერის დაკარგვის საფრთხის გამო დანებდა.

მეფის ფლანგზე იერიშმა გადაწყვიტა ბედი ი. კლოვანისა (რიგა) და რ. პოსტლერის (გდრ) პარტიაშიც. კლოვანმა მოსავებ პოზიციას მიაღწია. პოსტლერმა უკვე უიმედო მდგომარეობაში დროს გადააცილა.

ლ. ცინმა (გდრ) მოუგო ე. ნოვაკს (ჩეხოსლოვაკია). პოლონელი მოჭადრაკეების ი. ადამსკისა და ა. ლოკასტოს შეხვედრა ადამსკის გამარჯვებით დამთავრდა.

ორი პარტია გადაიდო. რიგელ ვ. ჟურავლიოვს ენდშპილში ზედმეტი მხედარი აქვს ორი პაიკის წინააღმდეგ ლ. ვადასთან (უნგრეთი) პარტიაში. თბილისელ ა. იზვოზჩიკოვს დაბოლოებაში პაიკი აკლია ი. პრანდშტეტერის (ჩეხოსლოვაკია) წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ყაიმის კარგი შანსი აქვს.

კვირას მოეწყო ბოლოსწინა, XII ტური. ცინმა თანმიმდევრულად ჩაატარა ენდშპილი პრანდშტეტერის წინააღმდეგ, ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. ნოვაკმა კლოვანთან პარტიაში მხედარი შესწირა, რიგელმა ვერ გაბედა მატერიალური უპირატესობის შენარჩუნება (მისი მეფე შეიძლება საშამათო ქსელში გაბმულიყო) და მეტოქეს მუდმივი ქიშის გამოცხადების საშუალება მისცა. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა იზვოზჩიკოვისა და პოდგაეცის პარტიაც.

პოსტლერს XII ტურამდე ცხრილში არც ერთი მოგება არ ეწერა. ლიბერზონის დამარცხების შემდეგ მან პირველი გამარჯვების ქულა მიიღო. მოსკოველი დიდოსტატი დებიუტის მერე მალე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მატერიალური დანაკარგის შედეგად. ვადასმა მოუგო ლოკასტოს. ოჟვატს ძალიან საინტერესო გეგმა ჰქონდა ადამსკისთან პარტიაში — კუს შეწირვა, მაგრამ ეს გეგმა შეუფერებელ დროს განახორციელა და ბევრი უზუსტო სვლა გააკეთა. ადამსკიმ შეძლო იერიშის მოგერიება და გამარჯვების მოპოვება.

ერთადერთ გადადებულ პარტიაში უბილავას ზედმეტი პაიკი აქვს ჟურავლიოვის წინააღმდეგ, მაგრამ რიგელი ენდშპილში ყაიმის შანსს ინარჩუნებს.

12 ტურის შემდეგ კლოვანსა და ცინს 8-8 ქულა აქვთ, პოდგაეცს — 7,5, ადამსკის — 7, ჟურავლიოვს — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ა. ბუხლაევი,
სპორტის ოსტატი.

იუგოსლავიური შთაბეჭდილებები

# 4. პრეს-ცენტრში

იუგოსლავიაში ძალიან უყვართ ჭადრაკი. ამბობენ, რომ „ეს... ჟურნალისტების დამსახურებაა. ბრძნულ თამაშს მათ უდიდესი პოპულარობა მოუხვეჭეს." თითქმის ყველა რესპუბლიკაში გამოდის საჭადრაკო ჟურნალი, ისტამბება წიგნები. საქვეყნოდ გაითქვა სახელი „ინფორმატორმა", რომელიც ექვს ენაზე წელიწადში ორჯერ გამოდის. ამ კრებულებში მსოფლიოს დიდი ტურნირების ყველაზე საყურადღებო პარტიები ქვეყნდება.

ყოველივე ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან თითქმის ყველა იუგოსლაველი მოჭადრაკე დიდოსტატი ან ოსტატი ჟურნალისტია. ახლა დამეთანხმებით, რომ სკოპლეს ოლიმპიადის დროს მათ საუცხოო პრეს-ცენტრი მოაწყვეს. აქ იყო ყველაფერი, რაც ჟურნალისტს ესაჭიროება ინფორმაციის დროულად მიღებისა და გადაცემისთვის.

თვით პრეს-ცენტრს ცალკე შენობაში ვეებერთელა ოთახი ჰქონდა დათმობილი — გრძელი მაგიდები, სავარძლები, შედეგების სტენდი, რომელზეც ახალი ცნობები პარტიის დასაავრებისთანავე ჩნდებოდა. იმავე ოთახში რვა ტელევიზორი იდგა, სადაც ოლიმპიადის ფინალური ჯგუფის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო პარტიების მსვლელობას უჩვენებდნენ.

იქვე გვერდით, ვესტიბიულში მუდამ მხიარულება იყო. იქ ჟურნალისტებისთვის ელექტროგამომთვლელი მანქანა იდგა. მსურველს შეეძლო საინტერესო პარტიის პოზიციის „ამოხსნა" მანქანისთვის დაევალებინა. მანქანა პარტიის ანალიზს ბოლომდე მიიყვანდა. ვიღაცამ ეჭვი შეიტანა მის საჭადრაკო ძალაში და ამოსახსნელად ე. ლასკერის ერთ-ერთი ძნელი ეტიუდი მისცა. მანქანამ არ დააყოვნა სწორი პასუხი. სასაცილო კი ის იყო, რომ ხშირად მანქანა დიდოსტატებზე უკეთეს სვლებს აკეთებდა.

ახალ ამბავს პირველად პრეს-ცენტრში მოისმენდით. სმისლოვმა იუგოსლაველთა კერპს, 22 წლის დიდოსტატ ლიუბოევიჩს რომ მოუგო, „ინფორმატორის" ერთ-ერთმა რედაქტორმა მ. მოლეროვიჩმა თქვა:

— შეცდა ჭაბუკი, როცა სმისლოვთან b2-b3-ით დაიწყო თამაში. ცხადია, სმისლოვი გარისხდა, აგდებულად მეთამაშება, ბებერი ვგონივარო. ადგა და მოუგო.

ერთხელ იუგოსლაველმა ჟურნალისტმა, დიდოსტატმა დ. იახოშევიჩმა გვითხრა:

— იცით რატომ დამარცხდა კონარკოვსკა-სოკოლოვა პოლონეთის გუნდთან შეხვედრაში? იგი პოლონელია და თავის სამშობლოს ვერ უღალატა!

ვიღაცამ თქვა, ვირჯინიის კუნძულების გუნდში ადგილობრივი მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი თამაშობსო. წავედით მის სანახავად, მაგრამ „ვერ მივუსწარით": თურმე ისე სუსტად თამაშობდა, რომ პარტიას ნახევარ საათში აგებდა. სხვა დროს დავუდარაჯდი და ვნახე ვიდრე წააგებდა. მინისტრს წითელი ფეხსაცმელები ეცვა და ოქროს სამკაულებით მორთულიყო.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტ დროს კორესპონდენტები ჭადრაკის თამაშში ატარებდნენ. ერთხელ სამდივნომ აკრედიტებულ ჟურნალისტთა ბლიც-ტურნირი გამართა, მაგრამ შეჯიბრებაში ყველა (აკრედიტებული იყო 160-ზე მეტი ჟურნალისტი) როდი დაუშვეს. დიდი მხიარულება გამოიწვია პრიზებმა. პირველი პრიზი იყო 12 კილოგრამი თამბაქო, მეორე — იმდენი ლიტრი ღვინო, რამდენსაც თვით პრიზიორი იწონიდა, და მესამე — ერთი საკოსტიუმე. საბოლოოდ, ექვსსაათიანი ბრძოლა იუგოსლაველთა გამარჯვებით დასრულდა: I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ი. სოფრევსკიმ, II — საერთაშორისო ოსტატმა მ. ბერტოკმა, III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ა. ილევსკიმ და ტ. რაკიჩმა. ამ ტურნირში „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი, ოსტატი ა. როშალიც თამაშობდა. იგი VII ადგილზე დარჩა.

ყველა აკრედიტებული კორესპონდენტი ყოველდღე სპეციალური ბიულეტენის მორიგ ნომერს ღებულობდა. ამ ბიულეტენში ქვეყნდებოდა ფიდე-ს კონგრესის სხდომის ანგარიში, გადაწყვეტილებები, ოლიმპიადის პარტიები, შედეგები. ხშირად ფოტოსურათებიც იბეჭდებოდა. თბილისელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა მასპინძლებს კომერციული ეშმაკობა შეამჩნია.

— აბა დააკვირდით. ბიულეტენებში თითქმის არ ისტამბება ფინალური ჯგუფის პარტიები, — მითხრა ერთხელ გუფელდმა.

მართლაც ასე იყო.

— ეს იმიტომ, რომ მათ ცალკე გამოსცემენ და წიგნიც უფრო გაიყიდება.

ჟურნალისტები ძალიან კმაყოფილი იყვნენ, როცა ოლიმპიადის გუნდების კაპიტნებთან და მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან ერთად მარშალმა ტიტომ ბელგრადში ისინიც მიიწვია. ორი საგანგებო თვითმფრინავით ოლიმპიელები ბელგრადს ჩაიყვანეს. შეხვედრის შემდეგ მარშალმა ტიტომ სტუმრებთან სამახსოვრო სურათები გადაიღო. საღამოს ყველანი სკოპლეში დაბრუნდნენ.

პრეს-ცენტრს, ცხადია, ტელეტაიპები და ტელეფონები ჰქონდა. დიქტორი კორესპონდენტებს რადიოთი უხმობდა თავიანთ რედაქციებთან სალაპარაკოდ. ეს ისე ოპერატიულად ხდებოდა, რომ არავინ ღელავდა: ყველამ იცოდა თავისი დრო.

პრეს-ცენტრის ხელმძღვანელობამ ყველა ჟურნალისტი დაგვასაჩუქრა ოლიმპიადისადმი მიძღვნილი საჭადრაკო წიგნებით. ბოლოს, გამოთხოვებისას ყველას ოლიმპიური მედლები გადმოგვცეს, როგორც სამახსოვრო სუვენირი.

სკოპლეს ჟურნალისტები დიდ ყურადღებას იჩენდნენ თავიანთი კოლეგების მიმართ. სკოპლეს რადიო-ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა მატეა მატევსკიმ საგანგებო კოქტეილზე დაგვპატიჟა.

და ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ ჟურნალისტები ვალში არ დარჩენილან. ისინი საუცხოოდ აშუქებდნენ ოლიმპიადას. განსაკუთრებით უხვად იბეჭდებოდა ოლიმპიადის ცნობები იუგოსლავიურ გაზეთებში.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სკოპლე — თბილისი.

# სიახლენი სპორტში

ხარკოვის ქარხანა „სპორტინვენტარში" „სასკოლო" ბატუტების მასობრივი წარმოება დაიწყეს. ახალი ბატუტის ბადე ორჯერ ნაკლებია ჩვეულებრივზე — 3,5×2,4 მეტრი. სამაგიეროდ, დანადგარის დაშლა ადვილია და იგი სასკოლო სპორტდარბაზებშიც თავსდება.

ახალი სპორტული იარაღი „ლოკომოტივის" საცურაო აუზის მოთელვის დარბაზში შეამოწმეს. წყალში მხტომელებს იგი ძალიან მოეწონათ.

ხარკოვი.

• • •

მინიატურული რადიოგადამცემის დახმარებით მწვრთნელს შეუძლია თვალყური ადევნოს მოცურავის მდგომარეობას მთელს დისტანციაზე. სტუდენტებმა — თურქმენეთის უნივერსიტეტის საკონსტრუქტორო ბიუროს წევრებმა — შექმნეს ბიოტელემეტრული სისტემა მოცურავეთა მომზადებისა და სპორტული კვლევისთვის, რომელიც პირველია მათს რესპუბლიკაში.

ახალი სისტემა საშუალებას იძლევა დაახლოებით 70 მეტრზე „მოვუსმინოთ" მაჯისცემის სიხშირეს, ჩავიწეროთ კარდიოგრამა, კონტროლი გავუწიოთ მოცურავის სუნთქვას. სხვა მსგავსი ხელსაწყოებისგან განსხვავებით, ახალ სისტემას აქვს თერმორეგულაციის ელემენტები, რაც ცვლილებათა აუცილებელ სიზუსტეს უზრუნველყოფს.

აშხაბადი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 61, კორექტორები — 93 97 49.